

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის  
ბრძანება  
№24

20 თებერვალი, 2018 წელი

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა“.

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2017 წლის 19 ოქტომბრის №32 ბრძანება „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ“.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

## საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

### მუხლი 1. ზოგადი მოთხოვნები

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისთვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №218 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისთვის აუცილებელ სპეციალურ მოთხოვნებს და ამ ბრძანებით გათვალისწინებულ შესაბამის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

### მუხლი 2. ანალიტიკური სამმართველო

1. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (სასურველია საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის გამოცდილება);

გ) სტატისტიკის საფუძვლების ცოდნა და საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება;

დ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

ე) ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფის (SPSS, Excel add-in - Analysis ToolPak) და ანალიზის შედეგების ვიზუალიზაციის (MS Visio) პროგრამული უზრუნველყოფის ცოდნა;

ვ) სხვადასხვა ელექტრონული წყაროებით ინფორმაციის მოძიების და მოპოვებულ დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;

ზ) უცხო ენის (ინგლისური) სრულყოფილი ცოდნა - არანაკლებ C2 დონეზე;

თ) საერთაშორისო ტრენინგებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა (სასურველია).

2. მეორადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება, სასურველია საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის გამოცდილება;

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) სტატისტიკის საფუძვლების ცოდნა და საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება;

ე) ანალიტიკური პროგრამული უზრუნველყოფის (SPSS, Excel add-in - Analysis ToolPak) და ანალიზის შედეგების ვიზუალიზაციის (MS Visio) პროგრამული უზრუნველყოფის ცოდნა;

ვ) სხვადასხვა ელექტრონული წყაროებით ინფორმაციის მოძიების და მოპოვებულ დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;

ზ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ B2 დონეზე;

თ) საერთაშორისო ტრენინგებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა (სასურველია).

3. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა ;

დ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ B1 დონეზე.

4. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

გ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; (ბრძანება #4 06.02.2020)

დ) სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (იხილეთ ბმულზე <https://www.fns.gov.ge/geo/page/regulations>). (ბრძანება #4 06.02.2020)

### **მუხლი 3. მეთოდოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და იურიდიული სამმართველო**

1. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (სასურველია საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის გამოცდილება);

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) უცხო ენის (ინგლისური) სრულყოფილი ცოდნა - არანაკლებ C2 დონეზე;

ე) საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;

ვ) საერთაშორისო ტრენინგებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა (სასურველია).

2. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება (სასურველია საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის გამოცდილება);

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ C2 დონეზე;

ე) საერთაშორისო ტრენინგებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა (სასურველია).

3. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება;

ბ) იურიდიული ან ეკონომიკური მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ C1 დონეზე.

5. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

დ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; (ბრძანება #4 06.02.2020)

ვ) სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (იხილეთ ბმულზე <https://www.fms.gov.ge/geo/page/regulations>); (ბრძანება #4 06.02.2020)

ზ) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების (მათ შორის, FATF-ის (ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის) რეკომენდაციების) ცოდნა (იხილეთ ბმულზე [www.fms.gov.ge/geo/fatf/](http://www.fms.gov.ge/geo/fatf/)). (ბრძანება #4 06.02.2020)

#### **მუხლი 4. ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სამმართველო**

1. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ინფორმაციის მიღების და დამუშავების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) სტატისტიკის საფუძვლების ცოდნა და საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება;

დ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

ე) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ B2 დონეზე.

2. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ინფორმაციის მიღების და დამუშავების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება;

გ) სტატისტიკის საფუძვლების ცოდნა და საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება;

დ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

ე) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ B1 დონეზე.

3. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ინფორმაციის მიღების და დამუშავების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ B1 დონეზე.

4. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ინფორმაციის მიღების და დამუშავების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ A2 დონეზე.

5. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

ბ) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; (ბრძანება #4 06.02.2020)

გ) სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (იხილეთ ბმულზე <https://www.fms.gov.ge/geo/page/regulations>). (ბრძანება #4 06.02.2020)

#### **მუხლი 5. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველო**

1. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) სტატისტიკის საფუძვლების ცოდნა;

დ) თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით უსაფრთხო ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და რეალიზების, ასევე მისი ადმინისტრირების სრულყოფილი ცოდნა და საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება;

ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა პლატფორმების სისტემების ადმინისტრირების სრულყოფილი ცოდნა და საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება;

ვ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ C1 დონეზე.

2. მეორადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში, სასურველია საინფორმაციო ტექნოლოგიების ინჟინერის სპეციალობით;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

გ) სტატისტიკის საფუძვლების ცოდნა;

დ) თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით უსაფრთხო ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და რეალიზების, ასევე მისი ადმინისტრირების კუთხით მაღალი დონის ცოდნა და საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება;

ე) საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა პლატფორმების სისტემების ადმინისტრირების სრულყოფილი ცოდნა და საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება;

ვ) თანამედროვე სერვერული ოპერაციული სისტემების, მათი სერვისების (MS Windows, Linux, ESX, MS SQL Server, Oracle, MS IIS, Apache) გამართვის და ადმინისტრირების უნარები;

ზ) MS Windows სერვერების, დომეინ კონტროლერების, ანტივირუსული სერვერის ადმინისტრირების, Linux საფოსტო სერვერის ადმინისტრირების, ინფორმაციის საარქივო თანხლების უსაფრთხოდ უზრუნველყოფის უნარები;

თ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ C1 დონეზე.

3. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (პროგრამისტის) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება პროგრამისტის სპეციალობით;

ბ) პროგრამისტის სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება;

გ) შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის (C#, ASP.NET, NET 4.0, Transact SQL, PL/SQL) ცოდნა;

დ) მონაცემთა ბაზების თანამედროვე ვერსიებთან (MS SQL Server 2008 R2, Oracle 9/10G) მუშაობის გამოცდილება;

ე) მონაცემთა ბაზების სტრუქტურისა და სერვერების ადმინისტრირების ცოდნა და პრაქტიკული უნარები;

ვ) ვებ სერვისებისა და აპლიკაციების დაგეგმვის, შესაბამისი პროექტების მართვის, ტესტირების, რეალიზაციის და მენეჯმენტის შემუშავების უნარები;

ზ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ B1 დონეზე.

4. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში;

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება;

გ) თანამედროვე სერვერული ოპერაციული სისტემების, მათი სერვისების (MS Windows, Linux, ESX, MS SQL Server, Oracle, MS IIS, Apache) გამართვის და ადმინისტრირების უნარები;

დ) MS Windows სერვერების, დომეინ კონტროლერების, ანტივირუსული სერვერის ადმინისტრირების, Linux საფოსტო სერვერის ადმინისტრირების, ინფორმაციის საარქივო თანხლების უსაფრთხოდ უზრუნველყოფის უნარები;

ე) MS Windows OS-ის, კომპიუტერულ აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის მაღალ დონეზე ცოდნა და ქსელური ტექნოლოგიების ცოდნა.

ვ) ვებ სერვისებისა და აპლიკაციების დაგეგმვის, შესაბამისი პროექტების მართვის, ტესტირების, რეალიზაციის და მენეჯმენტის უნარები;

ზ) კორპორატიული ქსელის CISCO-ს ინფრასტრუქტურის თანხლებისა და ქსელური უსაფრთხოების უზრუნველყოფის უნარები;

თ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ A2 დონეზე.

6. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; (ბრძანება #4 06.02.2020)

ბ) სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (იხილეთ ბმულზე <https://www.fms.gov.ge/geo/page/regulations>). (ბრძანება #4 06.02.2020)

## **მუხლი 6. ადმინისტრაციული სამმართველო**

1. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის ან/და სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

დ) უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა - არანაკლებ B1 დონეზე.

2. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მთავარი ბუღალტრის) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება ეკონომიკის ან ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობით (სასურველია განათლება ფინანსების მართვისა და ბუღალტრული აღრიცხვის განხრით);

ბ) ბუღალტრად ან ფინანსების მართვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება (სასურველია საბიუჯეტო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება);

გ) კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა „ორისისა“ და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა.

3. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საფინანსო-სამეურნეო (ლოჯისტიკური) მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება (სასურველია საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება);

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) ცოდნა.

4. მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის 1 წლიანი გამოცდილება;

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) ცოდნა.

7. სამმართველოს უფროსის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, და მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; (ბრძანება #4 06.02.2020)

ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

დ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე) საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

ვ) საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;

ზ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ და 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“.